

რუსუდან თევდორაძე



საოჯახო მეღვინეობა „ნაგუთნები“

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი დიმი

ტელ: +995 599 613561

ელ.ფოსტა - nagutnebi.winery@gmail.com

FB გვერდი <http://bit.ly/2LphdSN>

საოჯახო მეღვინეობა „ნაგუთნები“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში, მაღალი ღირსების ღვინის მქონე ტერუარზე მდებარეობს. სწორედ, ნაგუთნების ნიადაგი, დიმის მიკროკლიმატი და მეღვინეობისადმი ინდივიდუალური მიდგომა განაპირობებს ღვინო „ნაგუთნების“ განუმეორებელ სურნელს და გემოს.

ყოველწლიური მოსავალი 10-12 ტონა ყურძენია, რომლის გადამუშავებითაც მიიღება განუმეორებელი შარმის მქონე თეთრი და წითელი ღვინოები. ცოლიკოური, კრახუნა, ალადასტური, ოჯალეში - ეს „ნაგუთნების პოლიფონიაა“, ზოგი კლასიკურად, ზოგიც ტრადიციულად ქვევრში დადუღებულ-დავარგებული.

საგვარეულო ტრადიცია და საყვარელი საქმიანობა 2016 წლიდან იქცა მცირე საოჯახო ბიზნესად, როცა ღვინის დაბოთვლა დაიწყო. მას შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობენ ნაგუთნები გააცნონ და შეაყვარონ ადგილობრივ მომხმარებელს. ოჯახი, მომავალში საკუთარი პროდუქციის უცხოურ ბაზარზე გატანას გეგმავს.

